საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი
ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. ჩ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.2019
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 095/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ლ.-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ლ.ი-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ლ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით მას ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულ საქმეზე დახმარების მიზნით, 2019 წლის მაისის თვეში მიმართა ადვოკატ დ. ლ.-ს. ადვოკატი საქმეში ჩაერთო პირველივე არსებითი განხილვის პროცესზე და მან საჩივრის ავტორს ურჩია დუმილის უფლების გამოყენება. შეთანხმების თანახმად, ადვოკატს საჩივრის ავტორის ინტერესები უნდა დაეცვა სამივე ინსტანციის სასამართლოში. მომსახურების თანხად კი განისაზღვრა 4000 აშშ დოლარი, რაც ადვოკატს დაუყოვნებლის გადაეცა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ხელმომწერია ქ. ჩ.-ის მინდობილი წარმომადგენელი თ. ჭ.. ადვოკატმა საჩივრის ავტორს ხელშეკრულებით შეუზღუდა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, კერძოდ ხელშეკრულებაში მიუთითა, რომ ადვოკატს ასეთი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება ექნებოდა 5 წლის განმავლობაში. ქ. ჩ. მიუთითებს, რომ აღნიშნული ჩანაწერი არაეთიკურია, რადგან კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დროში შეუზღუდავია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების დადების სანაცვლოდ ადვოკატმა ქ. ჩ.-ისგან მიიღო ინფორმაცია მოსალოდნელი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. კერძოდ, ამსტერდამიდან თბილისის აეროპორტში უნდა შემოსულიყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება კოკაინი და სავარაუდო დრო და შემსრულებლები საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო. ადვოკატი დაჰპირდა ქ. ჩ.-ს, რომ ამ ინფორმაციის სანაცვლოდ პროკურატურა დათანხმდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრებოდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ადვოკატის მიერ არ იქნა შესრულებული. პროკურატურის შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმების მიხედვით, ქ. ჩ.-ისთვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განსაზღვრულიყო 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი. პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრის ავტორთან შეხვედრის დროს ადვოკატმა ურჩია, რომ თუ ამ პირობას არ დათანხმდებოდა 15 წელს მიუსჯიდნენ, თუმცა ქ. ჩ. აღნიშნულ პირობას არ დათანხმდა. ადვოკატი შეხვედრების ოთახიდან მალე წავიდა და ქ. ჩ.-მ მისთვის ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა ადვოკატი დ. ლ.. ქ. ჩ.-მ მოსამართლისგან შეიტყო, რომ ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, თვითაცილების მოთხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართა სასამართლოს. ადვოკატმა ქ. ჩ.-ს არ აცნობა აცილების თაობაზე გონივრული ვადაში, რის გამოც საჩივრის ავტორმა სასამართლო სხდომისთვის ვერ შეძლო ახალი ადვოკატის აყვანა.

1.6 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედებების გამო მას მიადგა, როგორც მორალური ასევე მატერიალური ზიანი. ქ. ჩ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ ეტაპზე საჩივრის ავტორის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი თ. გ., რომელმაც მოახერხა საპროცესო შეთანხმების დადება 4 წლით თავისუფლების აღკვეთაზე.

1.7 ქ. ჩ.-ის განმარტებით, ადვოკატმა დ. ლ.-მ 2021 წლის ივნისის თვეში 500 აშშ დოლარი გადაურიცხა საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულების მხარეს - თ. ჭ.-ს, თუმცა მან ეს თანხა უკან დაუბრუნა ადვოკატს.

1.8 საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ეთიკის კომისიამ შეისწავლოს ადვოკატ დ. ლ.-ის მოქმედებები და მის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ადვოკატს დაეკისროს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ლ.-მ 2019 წლის 19 დეკემბერს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2019 წლის მაისის თვეში იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს მოქალაქე თ. ჭ.-სთან, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა მისი მეგობრის ქ. ჩ.-ის ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატი განმარტავს, რომ წერილობით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მომსახურების ფარგლების მიუხედავად, მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმება ითვალისწინებდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის აუცილებელი მოქმედებების შესრულებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ქ. ჩ. დაპატიმრებული იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით. საქმეში ადვოკატ დ. ლ.-ის ჩართვა მოხდა მაშინ, როდესაც დაწყებული იყო არსებითი განხილვა და ადვოკატს არ ჰქონდა საშუალება მოეპოვებინა მტკიცებულებები და წარედგინა ისინი.

2.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების შესახებ, რომლის მიხედვით ის ვალდებულია უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებიდან 5 წლის განმავლობაში. ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება იყო შაბლონი და მისთვის ცნობილია, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება დროში შეუზღუდავია. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ მიუხედავად ხელშეკრულებაში ასეთი ჩანაწერის არსებობისა, მას კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება არ დაურღვევია, ამ ეტაპზე კი მსგავსი ჩანაწერი სხვა კლიენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში აღარ აქვს.

2.4 ადვოკატ დ. ლ.-ის განმარტებით, ქ. ჩ.-ის მიერ უტყუარად იყო დადგენილი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მათ შორის გამოძიებაში მას აღიარებული ჰქონდა დანაშაული. საჩივრის ავტორსთვის ცნობილი იყო, რომ მას ემუქრებოდა ხანგრძლივი დროით პატიმრობა, შესაბამისად ბრალდებულის დაკვეთა იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ადვოკატმა როგორც ქ. ჩ.-ს ასევე თ. ჭ.-ს აუხსნა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების მიღწევისთვის აუცილებელი იყო ბრალდებულის აქტიური თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან და თანამშრომლობის ხარისხიდან გამომდინარე გადაწყვეტდა პროკურატურა საპროცესო შეთანხმების დადების საკითხსა და პირობებს. ქ. ჩ. მზად იყო თანამშრომლობისთვის და როგორც მან ადვოკატს აუხსნა ფლობდა საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას საქართველოში მოქმედი ნარკორიალიზატორების თაობაზე - იცოდა როგორ და რა გზებით შემოდიოდა ნარკოტიკული საშუალებები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების განხორციელების მიზნით მან მიიღო 4000 აშშ დოლარი პენიტენციურ დაწესებულებაში ქ. ჩ.-სთან პირველივე შეხვედრისთანავე. ქ. ჩ.-სთვის მისაღები იყო მხოლოდ არასაპატიმრო სასჯელი, ვინაიდან მისი წარმოდგენით იმდენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიცემა შეეძლო პოლიციისათვის, რომ აუცილებლად გაათავისუფლებდნენ. ადვოკატმა აუხსნა მას, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება ამ ტიპის დანაშაულისთვის შეუძლებელი იყო, მაგრამ თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა საგამოძიებო ორგანოებისთვის, შესაძლებელია პროკურატურა დათანხმებულიყო საკმაოდ

დაბალი სასჯელის ზომაზე და ადვოკატის მოსაზრებით ეს ჯეიძლებოდა ყოფილიყო 4-6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ადვოკატმა ქ. ჩ.-ს არ მისცა გარანტია კონკრეტული სასჯელის დანიშვნის თაობაზე, არამედ აუხსნა, რომ ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე თუ რამდენად წონადი აღმოჩნდებოდა ბრალდებულის სამართლადამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ხარისხი. საჩივრის ავტორს სურდა სექტემბრის ან ოქტომბრის თვეში ციხიდან განთავისუფლება, ადვოკატმა კი აუხსნა, რომ მისი მხრიდან ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა და თუკი მისი მოთხოვნა მხოლოდ ეს იყო შეეძლო გაეწყვიტა ხელშეკრულება.

2.6 ადვოკატ დ. ლ.-ის განმარტებით, მან ქ. ჩ.-ისგან მიიღო ინფორმაცია ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების შემოდინების შესახებ, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს. არსებული სამართლებრივი პრაქტიკიდან გამომდინარე, პოლიციის ორგანოებმა უნდა დაადასტურონ ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა ითანამშრომლა სამართალდამცავ ორგანოებთან და ამის შემდეგ, პროკურატურა იღებს გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანმხების დადების თაობაზე. ადვოკატმა პოლიციის თანამშრომლებისგან შეიტყო, რომ ქ. ჩ.-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყო საკმაოდ ზოგადი და რთულად რეალიზებადი. პოლიციამ გამოიყენა ქ. ჩ.-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ნაწილი, ხოლო ნაწილი ინფორმაცის აღმოჩნდა არასწორი. ამის შემდეგ ადვოკატს დაუკავშირდა პროკურორი და უთხრა, რომ თანახმა იყვნენ ქ. ჩ.-სთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება შემდეგი პირობებით: 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობითი მსჯავრი, მინიმალური სასჯელი კი ამ დანაშაულისთვის იყო 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. პროკურორისგან მიღებული ინფორმაცია ადვოკატმა მიაწოდა ქ. ჩ.-ს, თუმცა ეს უკანასკენლი არ იყო თანახმა ამ პირობებზე. სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ არ იყო თანახმა პროკურატურის მიერ შემოთავაზებული საპროცესო პირობებზე, რასაც დაეთანხმა ბრალდებულიც. მოსამართლემ ქ. ჩ.-ს დამატებით მისცა ერთკვირიანი ვადა საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. სასამართლო სხდომიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ადვოკატს დაურეკა საჩივრის ავტორმა და სთხოვა შეხვედრა. ქ. ჩ. ადვოკატთან შეხვედრის დროს იყო აგრესიული და უთხრა, რომ მისთვის პენიტენციური დაწესებულებიდან ცნობილი გახდა, რომ თითქოსდა დ. ლ.-მ სხვა ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანაში, მიაღწია გამამართლებელ განაჩენს კორუფციული გარიგებების შედეგად. ქ. ჩ.-მ ადვოკატს პირობა წაუყენა, რომ წასულიყო პროკურორთან და შეეცვალა საპროცესო შეთანხმების პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში სკანდალს მოაწყობდა. ადვოკატი დ. ლ. არ დასთანხმდა ქ. ჩ.-ს პირობებზე, რის გამოც ქ. ჩ.-მ უარი განაცხადა მისი მომსახურების გაგრძელებაზე, ასევე უთხრა, რომ მას ჰყავდა სხვა ადვოკატი - მ. ჭ., რომელიც გააგრძელებდა მის დაცვას, ხოლო დ. ლ. მას აღარ სჭირდებოდა. ადვოკატი დაუკავშირდა თ. ჭ.-ს, აუხსნა, რომ ქ. ჩ.-ს აღარ სურდა მისი ინტერესების დაცვა გაეგრძელებინა დ. ლ.-ს და ჰკითხა - იყო თუ არა მისი სურვილი ჰონორარის სახით მიღებული თანხიდან ნაწილის დაბრუნება. თ. ჭ.-მ ადვოკატს უთხრა, რომ მას არ სურდა თანხის დაბრუნება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისთვის მორალურად მიუღებელი იქნებოდა საჩივრის ავტორთან ურთიერთობის გაგრძელება, ვინაიდან ეს უკანასკნელი მისგან მოითხოვა უკანონო ქმედებების განხორციელების გზით სასურველი საპროცესო შეთანხმების დადებას, რაც

დ. ლ.-სთვის მიუღებელი იყო. ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომ აღარ გააგრძელებდა ქ. ჩ.-ის ინტერესების დაცვას, რადგან მასთან წარმოეშვა კონფლიქტი. სასამართლო სხდომა გაიმართა განცხადების წარდგენიდან მე-3 დღეს, მოსამართლემ გადადო სხდომა, რადგან ქ. ჩ. არ იყო წარმოდგენილი ახალი ადვოკატით.

2.7 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მან პირნათლად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. წერილობითი ხელშეკრულების გარდა ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმებაც, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა მიეღწია მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადებისთვის, რაც დ. ლ.-ის მხრიდან შესრულდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1. 2020 წლის 26 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ლ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა დ. ლ.-მ ქ. ჩ.-ს გონივრულ ვადაში არ მიაწოდა ინფორმაცია ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ დარღვეული იქნება ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლი.

3.3. საპროცესო კოლეგიამ ასევე იმსჯელა ადვოკატ დ. ლ.-ის მხრიდან ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევაზე, ვინაიდან მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე, ადვოკატ-კლიენტს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება კი ითვალისწინებდა სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას. საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მხრიდან არ იყო შესრულებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

➢ განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1. 2019 წლის 12 მაისს, იურიდიული კომპანიის „დ. გ.-ის“ დირექტორს დ. ლ.-სა და თ. ჭ.-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება N. ხელშეკრულების მიხედვით შპს იურიდიული კომპანია „დ. გ.-ს“ მასში დასაქმებული ადვოკატების მეშვეობით უნდა უზრუნველყო ქ. ჩ.-ის ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში და საგამოძიებო ორგანოში. ხელშეკრულებით საადვოკატო მომსახურების ჰონორარი განისაზღვრა 4 000 აშშ დოლარით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას;*

- *მხარეთა შორის გაფორმებულ12.05.2019 წლის ხელშეკრულებას, N.*

4.2. იურიდიული ხელშეკრულების 3.3 მუხლის მიხედვით „კონტრაქტორი და დასაცავი პირი, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე არ არიან უფლებამოსილი, ნებისმიერი მოტივით, გარდა „კომპანიის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევისა, მოითხოვონ უკვე გადახდილი სახელშეკრულებო თანხის (მომსახურების გადასახადის) ან მისი ნაწილის უკან დაბრუნება“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას;*
- *მხარეთა შორის გაფორმებულ 12.05.2019 წლის ხელშეკრულებას, N.*

4.3. ადვოკატმა იურიდიული მომსახურება განახორციელა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის იმუშავა ქ. ჩ.-ისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის. მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა 2019 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რის თაობაზეც ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტებას.*

4.4. 2021 წლის 29 ივნისს ადვოკატმა დ. ლ.-მ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის თ. ჭ.-ს ანგარიშზე გადარიცხა 500 აშშ დოლარი, ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში მიუთითა, რომ აღნიშნული თანხა მან მიღებული ჰონორარიდან გამოქვითა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *საბანკო გადარიცხვის ქვითარი N.*

➢ საქმეში სადავო გარემოებას წარმოადგენს საადვოკატო ურთიერთობის დასრულების შესახებ ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირება. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ქ. ჩ.-სა და დ. ლ.-ს შორის აღნიშნულზე შეთანხმება, მხარეებმა მხოლოდ წარმოადგინეს ურთიერთსაპირისპირო განცხადებები:

- საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მხრიდან შეიტყო ადვოკატის მიერ წარდგენილი განცხადების შესახებ, რომლითაც ამ უკანასკნელმა ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლით უარი განაცხადა ქ. ჩ.-ის ინტერესების დაცვაზე (პარ. 1.5).
- ადვოკატი მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე ქ. ჩ.-სთან პენიტენციურ დაწესებულებაში წარმოშობილი კონფლიქტის გამო, საჩივრის ავტორმა თავად განაცხადა უარი ადვოკატ დ. ლ.-ის მომსახურებაზე. ქ. ჩ.-მ ადვოკატს უთხრა, რომ მას ჰყავდა სხვა ადვოკატი, რომელიც გააგრძელებდა მისი ინტერესების დაცვას. აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ, სასამართლოს სხდომამდე 3 დღით ადრე, ადვოკატმა

დ. ლ.-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ ის აღარ აგრძელებდა ქ. ჩ.-ის ინტერესების დაცვას (პარ. 2.6).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის საქმეზე გამოუმუშავებელი ჰონორარის გონივრულ ვადაში დაბრუნების ვალდებულება:

> „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).

6.2 ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს ის ფულადი სახსრები, რომლების ეკუთვნის კლიენტს და ადვოკატს მიღებული აქვს კონკრეტული დანიშნულებით. ასეთ ფულად თანხებს წარმოადგენს კლიენტისგან მიღებული ჰონორარიც, რომელიც ადვოკატმა ურთიერთობის დასრულების შემდეგ სამართლიანად უნდა გამოქვითოს და დაუბრუნოს კლიენტს მის მიერ გაწეული სამუშაოს პროპორციულად.

6.3 “ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, Nდს-შ/17-16).

6.4 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება

უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა (იხ. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე N057/17, ასევე, იხ. ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.5 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულ 3.3 პუნქტის ჩანაწერზე, რომელიც შეუსაბამოა ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებთან. აღნიშნული პუნქტი გამორიცხავს ადვოკატის ვალდებულებას, კლიენტს დაუბრუნოს გადახდილი მომსახურების თანხა ან მისი ნაწილი (პარ. 4.3). როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დანაწესი ავალდებულებს ადვოკატს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებას და ხელშეკრულებაში ასეთი ჩანაწერის არსებობის მიუხედავად, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება დაუბრუნოს კლიენტს დაუბრუნოს გაუწეველი მომსახურების ღირებულება. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ფაქტობრივი დარღვევის არსებობის მიუხედავად, ადვოკატ დ. ლ.-ის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული 3.3 პუნქტით განხორციელდა პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულირების ჩაწერა, რაც წარმოადგენს დარღვევას.

6.6 დამატებით შესაფასებელია ადვოკატმა დ. ლ.-მ შეასრულა თუ არა ნაკისრი ვალდებულება სრულად და წარმოადგენს თუ არა პროფესიული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას მიღებული თანხის ნაწილის 2 წლის შემდეგ დაბრუნება.

6.7 საქმეში უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ ადვოკატმა ქ. ჩ.-ისთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელების მიზნით მიიღო 4000 აშშ დოლარი. მიღებული თანხა განკუთვნილი იყო სამივე ინსტანციის სასამართლოსთვის (პარ. 4.1). ადვოკატმა კი მომსახურება გასწია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის იმუშავა ქ. ჩ.-ისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით (პარ. 4.2). საადვოკატო მომსახურების დასრულება მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში (პარ. 4.4). მართალია, ადვოკატი ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მხარეთა ზეპირი შეთანხმება ითვალისწინებდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის განხორციელებულ მოქმედებებს (პარ. 2.1), თუმცა წერილობითი შეთანხმებით ადვოკატის განსახორციელებელი მოქმედებები უფრო ვრცლად იყო გათვალისწინებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით - ხელშეკრულებით. შესაბამისად, ადვოკატმა დ. ლ.-მ არ შეასრულა ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულება სრულად, რის გამოც მას წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

6.8 აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა დ. ლ.-მ მხოლოდ 2021 წლის 29 ივნისს, ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის მიმდინარეობისას დაუბრუნა ხელშეკრულების მხარეს ჰონორარის სახით მიღებული თანხის ნაწილი 500 აშშ დოლარი. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ეს თანხა მომსახურების შესაბამისად დასაბრუნებელი თანხის პროპორციული და სამართლიანია.

6.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს გონივრულ ვადაში გამოუმუშავებელი ჰონორარი, ვინაიდან დ. ლ.-მ დიდი დროის გასვლის შემდეგ, მხოლოდ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე გამოქვითა მიღებული ჰონორარიდან თანხა და დაუბრუნა კლიენტს. ადვოკატს ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესრულება ურთიერთობის დასრულებიდან გონივრულ ვადაში უნდა განეხორციელებინა. 2 წლის შემდეგ ფულადი თანხის დაბრუნება არ წარმოადგენს გონივრულ ვადას, ასეთი ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ), მაშინ ამ ობიექტური გარემოების აღმოფხვრიდან უახლოესი პერიოდი. ეთიკის კოდექსის 8.13 მუხლის მიხედვით ადვოკატს ეკისრება გამოუმუშავებელი ჰონორარის ცალკე შენახვის ვალდებულება, ხოლო როდესაც წარმოიშობა მისი დაბრუნების საჭიროება, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს კლიენტისთვის მისი მიწოდება.

6.10 მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი იურიდიული მოქმედებებისთვის ჰონორარის კონკრეტულ ოდენობას. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ადვოკატის მხრიდან დაბრუნებული 500 აშშ დოლარი იყო თუ არა გამოუმუშავებელ ჰონორარის პროპორციული. ეთიკის კომისია ასევე ვერ იმსჯელებს ქ. ჩ.-ის განცხადებაზე, სადაც მან მიუთითა, რომ 500 აშშ დოლარი არ იყო სამართლიანად გამოქვითული თანხა, რის გამოც თ. ჭ.-მ ადვოკატ დ. ლ.-ს დაუბრუნა ის. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის გადასაწყვეტი იყო დაიტოვებდა თუ არა ადვოკატისგან მიღებულ თანხას. კომისია აქვე მიუთითებს, რომ თანხის დაბრუნების მოთხოვნით ქ. ჩ. უფლება აქვს მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს - სასამართლოს.

6.11 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი, რის გამოც კოლეგიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.12 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.7 მუხლი, ვინაიდან საქმეში მოცემულია მხოლოდ მხარეთა საპირისპირო განმარტებები ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე კლიენტის ინფორმირებასთან დაკავშირებით და არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ქ. ჩ.-სა და დ. ლ.-ს შორის ურთიერთობის შეწყვეტაზე შეთანხმება მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში, სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე. შესაბამისად, მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს მოცემული პრეტენზიის ფარგლებში. კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სასამართლო სხდომა გადაიდო და ქ. ჩ.-ს შესაძლებლობა მიეცა ესარგებლა ახალი ადვოკატით, შესაბამისად სხდომაზე წარმომადგენლის გარეშე გამოცხადებით საჩივრის ავტორის ინტერესები არ დაზიანებულა.

6.13 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან

რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.15 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ დ. ლ.-ის წანააღმდეგ და ეს მის წინააღმდეგ საჩივრით მიმართვის პირველი შემთხვევაა. ამასთანავე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ლ.-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატმა გონივრულ ვადაში დაუბრუნოს მას გამოუმუშავებელი ჰონორარი.

6.16 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2019 წლის 20 სექტემბრის N070/18 გადაწყვეტილებაში, დადგინდა 8.15 მუხლის დარღვევა, რის მიხედვითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. მოცემულ საქმეშიც ადვოკატმა არაგონივრულ ვადაში, მხოლოდ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ დაუბრუნა თანხა კლიენტს.

6.17 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N148/19 ადვოკატ დ. ლ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/